ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის აპარატი

N 25/1018 18/01/2018 1018-25-2-201801181658

www.factcheck.ge-ს ანალიტიკოსს
ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

ქალბატონო ნაზიბროლა,

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი 2017 წლის 22 დეკემბრის №35068/25 მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული წერილი გადაგზავნილი იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურში ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოძიების მიზნით.

2018 წლის 17 იანვრის №942-25 საპასუხო წერილის საფუძველზე გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არ მოიპოვებოდა ინფორმაცია ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში ბარაკული ტიპის დასახლებების რაოდენობის, კონკრეტული მდებარეობის, მაცხოვრებელი ოჯახებისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. თქვენი წერილიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის მიერ მომზადდა წერილები და ინფორმაციის მიწოდების მიზნით დაეგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებს. ამასთან, რადგანაც სამუშაო შრომატევადია და ამ ეტაპისთვის ადმინისტრაციული ერთეულების მიერ სრულყოფილად არაა წრმოდგენილი ბარაკული ტიპის დასახლებების სიები, მოთხოვნილ ინფომაციას მოგაწვდით ინფორმაციის სრულყოფის შემდეგ.

რაც შეეხება, პროგრამას ბათუმის ბარაკული ტიპის დასახლებების თანამედროვე საცხოვრისით ჩანაცვლების შესახებ გაცნობებთ, რომ 2018 წლის ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული.

პატივისცემით,

ნუკრი დეკანაძე

აპარატის უფროსი

6010 ლუკა ასათიანის ქ. №25 ტელ: 0 (422) 27 26 09